წელიწადი მეორე. № 39. 5 ოქტომბერი. 1878 წ.

**ხელს-მოწერა:**

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, ვართანოვის სახლში № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზედ.

**«ივერიის» ფასი:**

ერთის წლისა, გაგზავნით და გაუგზავნ. . . 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . . . . . . . 3 მ. 50.
თითო ნომერი . . . . . . . . . . . — 15.

—

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გამოდის ხუთშაბათობით

ქართველთა... საზოგადოება ტფილისი ...ბიბლიოთეკა
F 3051

**საძიებელი:** I. საქართველოს მატიანე: ტფილისის გუბერნიის სასოფ. შკოლების მასწავლებლებთა კრება ქ. ტფილისში 1878წ, ქუთაისის თეატრის მატიანე (ივერ. კორ.) — II, ქართული საეკკლესიო გალობა — III. საპოლიტიკო მიმოხილვა. — IV. მოკლე შენიშვნები საზღვარ-გარეთიდამ. — V. რამეთუ კაცი ვარ. — VI. განცხადება.

## საქართველოს მატიანე

### ტფილისის სასოფ. შკოლების მასწავლებლებთ კრება ქ. ტფილისში 1878 წელს.

23 სეკტემბერი. საღამოს სხდომაზე უფ. დირექტორმა განუმარტა მასწავლებლებთ ახალის და ძველის დროის სწავლების ღირსებანი. ძველს დროშიდ, სთქვა იმან, ყმაწვილები წიგნიდამ ზეპირობდნენ იმას, რასაც თვით მასწავლებელი დაუნიშნავდათ, ახლა კი მასწავლებელმა ისე უნდა ასწავლოს ყმაწვილსო, რომ ყმაწვილს ის არ ეძნელებოდეს. ამისათვისაო, განაგრძო მან, ყოველი მასწავლებელი იმას უნდა ცდილობდესო, რომ ყმაწვილს ის ასწავლოს, რაც უფრო ადვილებაო. მთელი საღამოს ბაასი მასწავლებლებთან დირექტორისა შეიცავდა ამას.

24 სეკტემბერი. დღეს, აგრონომი უფ. ხოჯაშვილი მოვიდა დილის ათს საათზე სამეურნო საზოგადოების შენობაში. ამან დაათვალიერებია მასწავლებლებს რაც რამ აქ ან თესლეულობა, ან ნაწარმოები რამე იყო, განსაკუთრებით მასწავლებლებთა ყურად-ღება მიაქცია ბამბაზე, ბრინჯზე, აბრეშუმზე და გუთანზე. ესენი განიხილა დაწვრილებით. უთხრა მასწავლებლებს, სად რომელი ამ მცენარეთაგანი მოდის, რა სარგებლობას აძლევს ხალხს და როგორს ადგილს რა გვარის მოვლით მოდის. მერმე აჩვენა ჩვენებურის გუთნის მოდელი და ევროპიელის გუთნისა — ტეერის გუთანი. შეადარა ეს ორი გუთანი ერთმანეთს და აუხსნა ტეერის გუთნის უმჯობესობა.

25-ს სეკტემბერს. მასწავლებელნი აღარ შეკრებილან სამეურნეო საზოგადოების სადგომში, რადგანაც ამ საღამოს მიწვეულნი იყვნენ ქართულ წარმოდგენაზედ სახალხო სიმღერის სათქმელად.

26 სეკტემბერი. დღეს დილით მასწავლებლები, უფ. დირექტორი — სტრელეცკი, ბეევსკი და შარერი, აკლიმატიზაციურის ბაღის მომვლელი, შეიკრიბნენ სამეურნეო საზოგადოების სახლში. აქ ბეევსკიმ გააცნო მასწავლებლები საზოგადოდ მებაღობას და სახელდობრ ახალციხურ მებაღობასაც. შემდეგ უფ. ბეევსკიმ წაიყვანა მასწავლებლები აკლიმატიზაციის ბაღში, სადაც თვით საქმით უჩვენა მასწავლებლებთ გადარგვა და მყნობა ხეხილებისა.

27 სეკტემბერი. დღეს უკანასკნელი დღეა მასწავლებლების კრებისა. სამეურნეო საზოგადოების სადგომში შეიკრიბნენ მასწავლებლები, უფ. სტრელეცკი, უფ. ოლქის ინსპეკტორი და სხვა მრავალი გარეშე პირნიც. თავდაპირველად სამადლობელი პარაკლისი გარდაიხადეს. ამის შესრულებისათანავე უფ. ოლქის ინსპეკტორმა უთხრა მასწავლებლებს სიტყვა, რომელშიც გამოსთქვა, სხვათა შორის, შემდეგი: თქვენ, უფ. მასწავლებელნო, ბევრი ისეთი რამე ნახეთ და გაიცანით ამ კრების დროს, რაც ჯერ არ გინახავთ. იმედია, რაც ახლა გაიცანით, ამაებს საქმეში გამოიყენებთო. ყოველი კაცისვალია ის აასრულოს, იმას შესწიროს თავისი საკუთარი სიცოცხლეო, რა საქმისათვისაც მოუკიდია ხელიო. მაშასადამე თქვენც თქვენს საქმეს გულმოდგინეთ მოჰკიდეთო ხელი. იცოდეთო მხოლოდ თქვენი საქმე. გარეშე საქმეში ნუ გაერევითო, ე. ი. ისეთ საქმეში, რომელიც რომელიმე მოხელე კაცის წინა-აღმდე-

გი იყოსო. მართალია, თქვენი სახელი სახალხო მასწავლებელი დიდი მნიშვნელობიანი სახელიაო, მაგრამ მაინც კიდევ გეტყვითო, რომ თქვენ მხოლოდ თქვენი საქმე უნდა იცოდეთო, ე. ი. შკოლა, მოსწავლე ყმაწვილები და ხალხში თავის დაჭერაო მშვიდათ და პატიოსნად. ყოველ კაცთან, ვინც უნდა იყოს იგი, ძმურად, პატიოსნად და მშვიდობიანად მოიქეცითო.

28 სექტემბერი. დღეს მასწავლებლები იყვნენ მიხმობილნი უფ. სტაროსელსკისთან, რომელმაც მასწავლებლებს გამოჰკითხა, თუ სად უსწავლიათ ამათ, ხალხი როგორის მხედველობით არის შკოლაზე, შემდეგ დაურიგა თითოეულს მათგანს ხუთ-ხუთი თუმანი და დაითხოვა.

ანანია.

---

## ქუთაისის თეატრის მატიანე

წარმოდგენა 3 სექტემბერს სცენის სასარგებლოდ.

სამ მოქმედებიანი კომედია მელვილისა „სიყვარული და ცრუ მორწმუნეობა," ზემო მოყვანილ რიცხვს წარმოდგენილი აქაურს სცენაზე, არის უეჭველად ერთი უკეთესთაგანი კომედია ქართულს რეპერტუარში. სამწუხაროდ ამ მშვენიერს კომედიას ვერ უპოვნია ქართულზე გადმოსათარგმნელად პატივცემულ ტ. დ. იარალიანცზე უკეთესი მთარგმნელი, რომელსაც საომხურიდგან თარგმნის დროს გარდაკეთების სურვილი შეჰპარვია და ძალა-უნებურად აგი დაუმახინჯებია!

როგორ სვინიდისიანად უშრომია ტ. დ. იარალიანცს შემდეგიდამ წარმოიდგინეთ: უკეთესი სიტყვები და აზრები გამოუშვია და სამაგიეროდ თავისი ჩაუკერებია უადგილო-ალაგს; ამ სიტყვების დასაგვირგვინებლად მთხზველის გვარი არ გაუგია და მოლიერისთვის მიუწერია მელვილისგან შეთხზული პიესა! ჩვენი ურეჟისსერო მოყვარეთა წრე ამას ვერ მიხვდა და განცხადებაშიაც მოლიერის პიესად მოიხსენიეს. *)

ამ კომედიაში ერთის მხრით შებრძოლვილია— ცრუ-მორწმუნეობა—ეგ საძაგელი თვისება საზოგადოდ გაუნათლებელთა და ზოგიერთთა ესრედ წოდებულთ „განათლებულთ დარბაისელთა", უკეთ ვსთქვათ Peau mond'-ის გაყ-ბატონებისა, რომელთაც განათლება ყურმოკრულ სიტყვის გამოკვლევის განმეორებაში ფეხებში და ჯიბეში მდგომარეობს.—მეორეს მხრით სიყვარული—ეგ გვირგვინი კაცად-კაცურის უწმიდეს მიდრეკილებისა, ეგ ქვეყნიერი ხატი სამოთხის ცხოვრებისა და ჩარხი კაცობრიობის წარმატებისა, ურომლოდაც ჩვენი ცხოვრება ჩალას დაემსგავსებოდა.

ერთს ქვრივს ინგლისელ თავადიშვილს (ლორდს) ჰყავს საყვარელი ქალიშვილი—ლელლია, რომლის გაზრდისთვის არაფერი არ დაუზოგავს და „უკეთუ ლონდონში მოიპოვებოდა ნასწავლი ქალები, იმათში პირველი ლელლია იყო". ეს ქალიშვილი, მართლაც ნასწავლი და ღვთაებისაგან წარმოვლენილის გამაბრწყინვებელის სხივით—პოეზიით აღსავსე, შეიყვარებს გამოჩენილის აქტიორს სიულლივანს, რომელზედაც გვირგვინის შესკვნას მოინდომებს. ლორდი თითქმის ჭკუისაგან იშლება ამ ამბით: როგორ თუ, „ლორდის ინგლისში გამოჩენილს კაცის ქალი აქტიორს უნდა წაჰყვესო!" როდესაც ქალიშვილთან არ გაუდის თხოვნა, რომ მან აზრიდამ ამოიღოს სიულლივანი და შეირთოს ფრიდერიკი—მდიდარი, მაგრამ უხასიათო და ქარაფშუტა ყმაწვილი კაცი, რომლის ცხოვრება და იდეალი სმა-ჭამა-ძილში, ჭორიკანაობაში და უნამუსო ქალების მეგობრებად მოკიდებაში მდგომარეობს,—მაშინ ის უსახელო წერილით მოიწვევს და ხიდაბით შემოაყვანინებს სახლში თვით სიულლივანს, რომელსაც ხანგრძლივ ივანკლედურ ლაპარაკის შემდეგ გაუტყდება ყველაფერში და სთხოვს მისს ქალს თავი შეაძულოს და მით აიძულოს იგი თავის სიყვარულის უარ-ყოფობაზე. სიულლივანი თანხმდება და პატიოსანს სიტყვას აძლევს შეასრულოს დაპირება. ვაი მაგისთანა თანხმობას! მან არ იცოდა, თუ ლელლია თვით ის იყო, რომელსაც მისგან გამლეტის როლის წარმოდგენის დროს, ლოჟაში, ნაკადულსავით სდიოდა ცრემლი, და როდესაც მან დაინახა იგი—თითქოს მეხით გაეგმირა გულიო და გულ წასრული მირს დაეცა.... თვალი რომ გაახილა, თავის ოთახში იყო.... ამიერ იგი იყო იმ ქალიშვილზე შეყვარებული, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობითა. წარმოიდგინეთ

---

*) ერთმა მითხრა მე ექვი შევიტანეო რომ ეს პიესა მოლიერს არ უნდა ეკუთნოდესო, მაგრამ არ დამიჯერესო.

მისი თავ-ზარ დაცემა, როდესაც მეორე დღეს სადილად მისრული ლორდის სახლში პირობის ასასრულებლად ჰნახავს, რომ იგი, ვისაც მან თავი უნდა შეამუღლოს, არის მისი სატრფო!—სიულლივანი ერთს წამს შეფერხდება თავის პირობის ასრულებაში; მასში იბრძვის ორი უწმინდესი კაცურ-კაცური თვისება: მოვალეობა საყვარელის წინაშე და მოვალეობა პატიოსან სიტყვის წინაშე. ამ დროს ლორდი ყურში წაუჩურჩულებს მას: ,,თქვენ მე პატიოსანი სიტყვა მომეცით." ოჰ, რაც დამემართება დამემართოს, მე ჩემს სიტყვას ავასრულებო," გულ-ღვიძლ დადაგული იტყვის სიულლივანი, გრძნობათა ბრძოლიდამ გამოსული.

სადილად იგი თავს აჩვენებს უკიდურესს ლოთათ და უზდელათ და მით აძაგებს თავს ლელლიას. უმანკო, შეყვარებულის ქალიშვილის გული ამ შემთხვევაში გულთმისანია, და იგი ეუბნება მას: ,,არა, არ შეიძლება სიულლივანი ამ რიგი ლოთი იყოს", მაგრამ მაინც იჭვნეულებით გარემოცული დიდს მწუხარებაში შედის ამის გამო და სასოწარკვეთილობით ეუბნება მამას: ,,ფრიდერიკთან კაცი გაგზავნეო.... შეუღლების პირობები დაიწეროსო ხვალ, დღეს, დეე თუ გინდ ამ წამშიაც......" და ღონე მიხდილი დივანზე დაეშობა...

ლორდი სიხარულით გარეტიანებულია... ამ წამს იგი მზათაა დაუმტკიცებელ ვექსილით ფული გასესხოსთ, ღარიბს შეეწიოს და თვით აქტიორებზედაც თქვას: ,,საწყალნი კეთილი ხალხიაო". მსახურს აგზავნის ფრიდერიკთან დასაპატიჟებლათ, მაგრამ ფრიდერიკი თვით იმ წამშივე შემოდის ოთახში, რა წამსაც მსახური აპირებდა ბძანების ასრულებას. აღტაცებულს ლორდს ჰგონია ამისრულდა წადილიო, მაგრამ სცდება! ფრიდერიკმა არ იცის, თუ სიულლივანს და ლელლიას შორის რამე კავშირი არსებობს და ამის გამო იგი თავის ბედს არდგევს სიულლივანის თვისებათ ზეცამდე ქებით. წარმოიდგინეთო, თითქმის შემოსვლისათანავე ამბობს იგი, შევდივართ ყავახანაში, მაგრამ რას ვხადავთ?.... ერთს კუნჭულში მიმჯდარა დაღვრემილი, ფიქრში გართული სიულლივანი.... მე, ვითარცა მისმა პირველმა მეგობარმა ვკითხე მიზეზი მისის ამ რიგად მდგომარეობისა.... მან გვიანბო, რომ..... (და აქ იგი გაიმეორებს სიულლივანის ნაამბობს რაც მოუხდა ლელლიასთან).... ერთმა ჩვენთაგანმა უთხრა მას, როდესაც მბობა გაათავა, რომ ის ქალიშვილი თავხედი ყოფილაო. სიულლივანმა ეს ვერ მოითმინა და ის კაცი დუელში გამოიწვიაო, რომელიც ხვალ არის დანიშნული და სიულლივანის სეკუნდანტი მე ვარო.... და თან დაატანს: ,,საკვირველი ის არის სიულლივანს თავის დღეში ღვინო არ დაულევია, და უკიდურეს ლოთად კი მოაჩვენა თავი". ლელლი გამოჰკითხავს ამ სიტყვების სინამდვილეს და როდესაც დარწმუნდება მათს ჭეშმარიტებაში იჭვნეულებიდამ სასწორმხედველო გზაზე გამოყვანილი მრისხანე სიმწარით შესძახებს: ,,არა, მე არ გავუშვებ მას ჩემის გულისთვის სისხლი დაღვაროს! ოჰ, მამავ, არ გაგივიდა შენი მცბიერობა?

მეორე დღეს მამლის ყივილამდე ის ადგება და გაეშურება სიულლივანთან, რომ დაუშალოს მას დუელში გასვლა; მაგრამ თავის ხელად არ მყოფი სიულლივანი ქუჩაშია გასული სახეტიალოდ. ცოტა ხნის მერმე მოისმის ოთახში შემომავალთ ორის ადამიანის ხმა; იგინია სიულლივანი და ფრიდერიკი. ლელლი დიდს სარკეს ამოეფარება. ფრიდერიკი ეუბნება სიულლივანს, ,,....ლორდ გესტინგის ქალს ვეტრფოდი, დღემდი კარგად მიმდიოდა საქმე, მაგრამ გუშინ იმ რიგი წერილი მომწერა, რომ ვერაფერი გავიგე. ეს ადგილი სულ არ მესმის:.... ,,გარდაწყვეტით გატყობინებ, რომ დღეიდამ იმედი ნუ გექნებათ ჩემის შერთვისა"... სიულლივანი ეტყვის, რომ გაუგებარი არა არის რაო, დანიშნულს თქვენზე დაქორწინება არ ჰსურსო, მაგრამ, განაგრძობს იგი, დუელის დრო ახლოვდება, წავიდეთ. მიდიან. ფრიდერიკი უმალ გავა. გამავალი სიულლივანი შეჰნიშნავს ლელლიას და სიხარულის მეხით გაჰკვირული წარმოსთქვამს აღელვებით: ,,ამას ვის ვხედავ?.... ოჰ, ეხლა თუ გინდ თვით ჯოჯოხეთის ძალ-ღონე წინაღმიდგეს, მე გამარჯვებული დავბრუნდები!" ლელლია ამაოდ ცდილობს დააბრუნოს იგი. ამ დროს უეცრად შემოვარდება ლორდი და ევედრება მას მიატოვოს სიულლივანი და დაბრუნდეს შინ, ან და იმას შვილობაზე უარი სთქვას. ლელლია ცოტა ხნის გრძნობათა ბრძოლის შემდეგ ირჩევს სიულლივანს. განრისხებული ლორდი ხელს იღებს მისს მამობიდამ, გამორიცხავს მემკვიდრეობი-

დამ და მიდის თავის სახლში. სიულლივანი მშვიდობით ბრუნდება. მოწინააღმდეგეს ბოდიში მოუხოვია. ლელლია ეუბნება მას: „მამა ჩემმა უარ-მყო.... აწ მე შენი ვარ, მხოლოდ შენ გეკუთვნი, და შენდა ხარ ჩემი პატრონიო“. ამ ლაპარაკის დროს კარებში ჩუმად შემოვლენ ლორდი და ფრიდერიკი. უკანასკნელს ელდა ეცემა ლელლიას აქ დანახვით. ლორდი მას ჰგზავნის კომისართან, რომ მისის დახმარებით დაიმორჩილოს ურჩი ქალიშვილი. სანამ კომმისარი მოვიდოდეს იმ რიგ საუბარს დაუწყებს სიულლივანი ლელლიას, თუ რატომ არ შეუძლია მას მამის უნებურად შეირთოს იგი, თუ მისი ბედი და უბედობა ამ ქორწინებაში ჰსუფევს; იმისთანა ზნეობითი კანონების მოიყვანს ამის დასამტკიცებლად, რომ აზრ-მოკლე არისტოკრატობით გართხმულს ლორდს დააყენებს სასწორ-მხედველო კაცობრიულს გზაზე, რომელიც სხვათა შორის თხოულობს“ სიყვარულს და მის მიზანს სრული თავისუფლება ჰქონდეს მინიჭებულიო. და როდესაც სიულლივანი ეუბნება ლელლიას „ხელი მიბოძეთ, მე თქვენ ისევ ისე ანგელოზებრ უმანკოდ მაგიყვანთ მამა თქვენთან, როგორადაც აქ მოხვედითო“, რწმენა-გამოცვლილი ლორდი აღელვებული მივარდება მათ და ეტყვის: „თქვენ ღირსნი ხართ ერთმანეთისა! მე თანახმა ვარ თქვენს შეუღლებაზე“.

კომმისარით დაბრუნებულს ფრიდერიკს, რომელიც უნებლიეთ შეესწრია მოტრფიალთა ქორწინებას ლორდი ნიშანს მიუგებს....

თვით წარმოდგენა საზოგადოდ კარგად წავიდა. როლი არც ერთს აქტიორს არ დაუმახინჯებია, თუმც გაზეპირებით არც ერთმა არ იცოდა, გარდა მეორე მნიშვნელობიან როლის მოთამაშეებისა.

უფ. ბარხუდარიანცმა — ლაზათიანად ასრულა ცრუ-მორწმუნე ლორდის როლი, რომლის სულითაც იგი გართხმული იყო,—გარდა იმ ალაგისა მესამე მოქმედებაში, სადაც იგი ხელს იღებს თავის ქალიშვილზე და მემკვიდრეობიდამ ჰრიცხავს; მაშინ, როდესაც ეს ალაგი იყო მშვენიერი ლუკმა აქტიორისთვის....

უფ. კოტე მესხმა—პირველ გამოსვლაში (მონოლოგში) „ბდღვირი გაადინა ნაცარში“-ო რომ იტყვიან, ისე დაემართა: როლი, ნამეტურ ეს ალაგი, ზეპირად არ იცოდა და ამისგამო თავჩაღუნული გაუჩერდა წინ მოჩურჩულეს და სიტყვა სიტყვაზე იმეორებდა მისგან თქმულს...., წახდენა მეტი აღარ შეიძლებოდა... სწორედ ცოდვა იყო ამ მონოლოგის დამახინჯება. იმათ იწყება კომედია, რომელიც იმ რიგ ხალისს აღუძრავს მაყურებლებს პიესისადმი, რომ მრავალი მათგანი სულ განაბული სმენად იქცევა და აღელვებული მოელის შედეგს...

მეორე და მესამე მოქმედებაში კი ის იყო ღირსი აქტიორის სახელისა, ნამეტურ მესამე მოქმედებაში, მეორე მონოლოგში, რომლის აღსრულებით, მან გამოიწვია ხანგრძლივი ტაშის კვრა და ღირსეული, ერთობრივი გრიალი „ბრავო!“ რომლის რამოდენჯერმე განმეორებამ დააძიგძიგა შენობა....

უფ. ყიფიანმა—უნაკლულოდ მიიყვანა ბოლომდე ფრიდერიკის როლი თავის დაჭერით და საქციელით. ამ როლში მან თვალ-წინ წამოგვიყენა—უღირსი მქვეყანაზე ცხოვრებისა, ტყუილა მჭამელი, ქარაფშუტა და ტრაბახა ყმაწვილი კაცი, რომლებითაც მდიდარია ევროპა, და სამწუხაროდ ეხლა ხანს ჩვენის ტფილისის და ქუთაისის ბაღებიც....

უფ. ჩხეიძისამ—„წყალობითა ღვთისათა“ მშვიდობიანად გაისტუმრა—ძნელი ქალიშვილისთვის ტრაგედ-კომედიური როლი ლელლიასი. მეორე მოქმედებაში მეორე გამოსვლაში, და მესამე მოქმედებაში მეოთხე გამოსვლაში — იგი მშვენიერად ასრულებდა როლს და ამ მაგალითით დაგვიმტკიცა, რომ მას აქვს უეჭველი სათეატრო ნიჭი და შეუძლია ღირსეულად წარმოადგინოს თვით იმისთანა როლები, როგორიც ამ შემთხვევაში ლელლიასი იყო, რომ... როლზე უფრო ჰფიქრობდეს და ცდილობდეს მის უნაკლულოდ ასრულებას..... ვარწმუნებთ პატივცემულს ჩხეიძისას, რომ მისი შრომა დაუფასებლად არ დარჩება.

მეორე მნიშვნელობიანი როლები უნაკლულოდ იყვნენ ასრულებულნი.

ქუთაისი 29 ენკენისთვე 1878 წ. ი—ა ი—ძე.

SP. ერთი უბედურობა შეემთხვა ჩვენს მოყვარეთა წრეს: მისი ხაზინადარი უფ. კარენიანცი გაჰქრა მთელის ხაზინით, რომელშიაც ნაღდი ფული 120 მან. იყო.... თითქოს ბედს ურგუნებია ჩვენის მოყვარეთა

წრისთვის ამ რიგი შედეგი. ამ სამიოდ წლის წინად ამ რიგიჲე მოყვარეთა წრეს დაუკარგა 400 მან., რომელიც ჩაყლაპა თავად ივანე აბაშიძემ, ქუთაისის ბულვარდის კროგულმა მტკეპნელმა.

ეს შენიშვნაც ჩვენს მოყვარეთა წრეს:

რატომ ყოველის წარმოდგენის შემდეგ არ აცხადებენ გაზეთებში წარმოდგენის შემოსავალ-გასავალს?

იმედია გვიპასუხებენ, თუ არა და ჩვენ ვიცით ....

ი—ა ი—ძე.

---

## ქართული საეკლესიო გალობა.

ჯვართ ამაღლების დღეს, 14 ენკენისთვეს სიონში ქართული წირვა და გალობა იყო. ამ იშვიათმა ამბავმა საკმაოდ ხალხი მიიზიდა ეკკლესიაში. ხალხი დიდის მოწიწებით და რაღაცა აღტაცების მსგავსის მხურვალებით ისმენდა წირვასა გალობის დასრულებამდე. ან რა გასაკვირველია. დიდი ხანია, რომ დღესასწაულს, უქმე დღეს ასე გაშინჯეთ, მეფე დავით აღმაშენებელის და წმინდა ნინოს დღესასწაულს დღეებშიაც კი სიონში ქართული წირვა აღარ არის. ამას გარდა ქალაქში საქართველოს, სატახტო ქალაქში, რამდენსამე მართლ-მადიდებელთ ეკკლესიებში რუსული გალობა და მგალობლების დასი გაიმართა; სომხებმა თავიანთ ეკკლესიებში გალობა გაამშვენიერეს, ფრანგების ეკკლესიაში, ასე გაშინჯეთ, ევროპიის კომპოზიტორების შეწყობილ წირვას გალობენ ქალაქის პატარა ბიჭები (ფრანგის შკოლის შეგირდები) და ქართული გალობა კი გაქრა, ის ქართული გალობა, რომელიც ხალხის კილოზე შემუშავდა და ათასის წლის განმავალობაში საქართველოს ტაძრებში, მონასტრებში და მეჯლისებშიაც კი გაისმოდა. საქართველოში ქართული გალობა თითქმის დავიწყებულ იქმნა! საკვირველათ არ უნდა მიგვაჩნდეს ის გარემოება, რომ ქალაქის ხალხი სიყვარულით და სიხარულით შეიკრიბა ეკკლესიაში თავისის საკუთარის გალობის მოსასმენლათ.

ამ გალობის თაობაზე საკმაოდ ლაპარაკი აღიძრა წრეულს ქართულს მწერლობაში. „დროებაში" და „ივერიაში" საკმაოდ ლაპარაკი იყო მას შემდეგ, რაც ფრიად პატივცემულმა ჩვენმა მწყემსთ-მთავარმა ყოვლად უსამღვდელოესმა ალექსანდრემ ორმოც-და-ათი თუმანი დანიშნა ქართულის გალობის ნოტების დაწერისათვის. ასე იცის კეთილმა საქმემ ნაყოფის გამოღება. ბევრი რამ ითქვა და სხვათა შორის გალობა როგორ დაწერილ იქმნას, რა კილოზე და სხვა... ბოლოს ყოვლად უსამღვდელოესის ალექსანდრეს თაოსნობით და არხიმანდრიტის მაკარის შემწეობით სიონში ეს გალობა დაინიშნა და ამისათვის გურიიდამ დაბარებული იქმნა მგალობელი.

გალობა სიონში ორის დასისა იყო: მარცხნივ (ჩრდილოეთით) სადაც მუდამ მგალობლები დგანან, მაღლობ ტახტზე იდგა ერთი გუნდი ქართლ-კახეთის კილოთი მგალობლებისა, მარჯვნივ, (სამხრეთით) იდგა დაბლა მეორე გუნდი გურულებისა, რომელიც იმერეთ-გურიის კილოთი გალობდა. ქართლ-კახეთის დასში ხუთი თუ ექვსი კაცი იყო და იმერეთის დასში სამი თუ ოთხი; საწირველოში გალობის დროს ამ მეორე დასიდამ უნდა გასულიყვნენ. ამ გარემოების მიზეზით ძნელი შესადარებელი იყო ამ ორთა დასის გალობა. მიზეზი, როგორცა ვთქვით, იყო მეტ-ნაკლებობა ერთი და მაღლა და დაბლა დგომა მეორე, კიდევ იყო მესამეცა, ისა რომ ქართლ-კახეთის მგალობლები სულ ყმაწვილი კაცები იყვნენ (იმათში ორნი კარბელაშვილნი) და გურულებში უფრო ხნიანნი და ერთი მოხუცებული მღვდელი.

პირველი ხმა (დამძახილი) უფრო მაღალი იყო მეორეს გუნდისაზე, მეორე ხმა (მოძახილი) აგრეთვე მაღალი და ბოხი, ვიდრე მეორე გუნდისა და ბანი პირველს გუნდს უფრო მეტი ჰქონდა. მეორე გუნდში ბანი ძლივს ისმოდა ხმის სისუსტისა და მგალობლების ნაკლებობისა გამო.

ორსავე დასს ეტყობოდა, ცდილობდნენ, რომ გალობა კარგა შეწყობით გამოსულიყო, მაგრამ სჩანდა, რომ წინათ მომზადება, რეპეტიციები არა ჰქონოდათ. დარწმუნებული ვართ, რომ წინათ გამართული ოთხიოდე რეპეტიცია მათს გალობას ერთი ორათ უფრო მშვენივრად გამოიყვანდა.

გადავიდეთ თვით გალობის კილოს განხილვაზე.

ორისავე (ქართლ-კახეთისა და იმერეთ-გურიის) გალობის ძირითადი ხმები (მოტივები) ერთი და იგივეა. მაგრამ ხმის ამაღლება და დადაბლება, დაკლაკვნა და გადასვლა. ორსავ გალობას შესამჩნევად ერთმანეთისაგანა ჰყოფს და ერთმანეთში ასხვაფერებს. ქართლ-კახეთის გალობა სრულის გაღებულის პირით იგალობება; იმერეთ-გურული კი ღიღინით. ბუზუნით ცოტათი ცხვირში, და

ამასთანავე ხმის რეკით. თითქოს დიდ-პარასკევის ზარები რეკდესო.

ხმის შეწყობითა და ჰარმონიით განსხვავება ცხადია. ქართლ-კახეთის გალობა წარმოგიდგენსთ აღმტაცს, ამამაღლებელს, სასიხარულოს და სადღესასწაულო ღაღადებას; იმერეთ-გურული გალობა კი ღრმას, უსამზღვროს, საიდუმლოს, შორეულს, დამდაბლებულს, მოწიწებულს გრძნობას. იმერეთ-გურულს გალობაზე ამბობდნენ, „იაია" ძალიან ბევრიაო. იმას კი ყურადღებას არ აქცევენ, რა ხმები არის ამ „იაიას" გალობაში: ეს მთელი ზღვაა ხმებისა, რომელშიაც, როგორც ზვირთი ძლიერი იბადება და ბოლოს ინთქმის თვალ-გაუწვდენელს ზღვაშია, ისე გრძნობის ზვირთები ერთმანეთსა სდევენ, მიდიან და მიაქვთ კაცის გონება სადღაცა უსამზღვრო საიდუმლოებაში. თავდება ამ დასის ხმები და მოისმის ქართლ-კახეთის დასის გალობა. წინა ხმებით საღმთო სიღრმეში ჩანთქმული კაცის ოცნება გამოჰყავს სამხიარულო სადღესასწაულო და გამარჯვებულს ღაღადებას, თითქოს ფრთა შეასხა და ძლევა-მოსილ დიდებაში შეიყვანაო.

აი რა დი განსხვავებაა ამ ორს გალობაში. მე ეს შთაბეჭდილება მივიღე. ბევრისაგან გავიგონეთ, რომ გურული გალობა სჯობსო, უფრო მომატებულისაგან— ქართლ-კახეთისაო. მაგრამ განსხვავებას ყველანი ხედავდნენ. მარტო „დროებამ" ვერ დაინახა, მაშასადამე ნოტები ორსავე კილოს გალობისა უნდა დაიწეროს უშეცველად და უშეცველად.

მაგრამ აქ ფიქრში ეს აზრები მომდის: 1) რომელ მგალობლების გალობით უნდა დაიწეროს. 2) ვინ უნდა დასწეროს, და რა ნოტებით დაიწეროს.

პირველად ძალიან საჭიროა კარგი გამოკითხვა ყველგან, თუ ეკკლესიებში, მღვდლებში, აგრეთვე მონასტრის ბერებში, ამას გარდა ერის-კაცებში ბევრნი არიან იმერეთს, გურიას, სამეგრელოს და რაჭას ერის-კაცნი ეკკლესიის გალობის მცოდნენი. ქართლ-კახეთში ერის-კაცებში ძალიან ცოტა მცოდნენი მოიპოვებიან, მაგრამ გამოკითხვა აქაც საჭიროა. ამ გვარათ გამოკითხვის შემდეგ არჩეული მგალობლები უნდა მოწვეულ იქმნენ და მათ ორი ზემოხსენებული დასი შეადგინონ მგალობლებისა. წინათ მოამზადონ რეპეტიციებით საგალობელი და კარგა შეწყობის შემდეგ დასწერინონ. რასაკვირველია ამ კაცების ქალაქში მოწვევას და ცხოვრებას ხარჯი უნდა. ამაზე ქვემოთ მოგასხენებთ.

მეორე ამოსარჩევი საგანი, ნოტების დაწერა და დამწერია. ნოტების დაწერა ისეთი ადვილი რამ არ არის, როგორც ჩვენებურს რეგენტებსა ჰგონიათ; ნოტის წერისათვის დიდი და ვრცელი მუზიკალური შკოლის ცოდნაა საჭირო. არიან ერთ-გვარნი მგალობელნი, ანუ მუზიკის მცოდნენი, რომ ნოტებსა სწერენ, თვითონა გალობენ და ასე გაშინჯეთ, ვითომ სხვებსაც ამ ნოტებით ასწავლიან, მაგრამ დიდი შეცდომაა. გვინახავს ამ გვარათ ევროპიელის ნაწერი ნოტები, რომელიც მეორეს მცოდნეს ვერ გაურჩევია, ან გალობისათვის და ან დაკვრისათვის. თუ კი ევროპიულს დამკვრელებში და მომღერლებში არიან ამასთან თავის იმედის მქონენი, ჩვენში ხომ უფრო იქნებიან. ამის გამო საჭიროა კარგი მცოდნე მუზიკისა და ნოტების წერისა, რომელსაც მართლა და ნამდვილი სწავლა მიუღია. ჩვენს საქართველოს შვილებში ვიცნობთ მუზიკის მცოდნეს უფ. ხარლამპი სავანელს. ქალაქის თეატრის ორკესტრშიაც მოიპოვებიან ორიოდე მცოდნე კაცნი. ამათი მოწვევა უეჭველად საჭირო იქნება. არა თუ შესწორება, ან ნაკლულევანების ჩვენება, ანუ სხვებისაგან დაწერილის ნოტების გაშინჯვა უნდა მივენდოთ იმათ, არამედ პირ-და-პირ წერა იმათ უნდა ვაკისრებინოთ.

მცოდნე კაცების მოწვევა საჭიროა არა მარტო აქ გარემოების გამო, რომ ნოტების წერა საზოგადოთ ძნელია. სხვა გარემოებაც მოითხოვს. ვისაც მუზიკისა და გალობისათვის ყური მიუჩვევია, ის ადვილად განარჩევს ევროპიულს მუზიკას, გალობას, ჩვენის ქართულისაგან. ნოტების ანბანი ევროპიულის ხმებისა და მუზიკისათვის არის შემოღებული. ქართულს საკრავში, გალობაში ანუ სიმღერაში ისეთი ხმებია, რომლისთვისაც ევროპიული ნოტები არ არის. სწორედ ამ გვარად, როგორც ქართული ასო ყ და ჭ არც ერთს ევროპიულს ანბანში არ არის. ამ ცალკე ასოებს გარდა ხმების შეწყობას, შეთანხმებასაც განსხვავებული კანონი აქვს ქართულსა ევროპიულისაგან.

ახლა ვიკითხოთ ამისთანა სიძნელის მორევა ვის შეუძლია, თუ არ კარგს ნასწავლს მცოდნესა და დახელოვნებულსა. ცხადია, რომ უბრალო რეგენტები ვერას ღონისძიებით ქართულის ნოტების წერას ვერ შეიძლებენ, ამაზე დახარჯული ფული ამაოდ ჩაივლის და ისევე უნოტებოთ დავრჩებით.

ამ საგანზე ასე ბეჯითად ლაპარაკი ამიტომ გავაგრძელეთ, რომ რამდენჯერმე სხვა და სხვა დროს ლაპა-

რაკი იყო, ეს ამან დასწერა ნოტებიო, ეს იმანაო და ყველაზე საინტერესო კი იყო, ის ნაწერი ნოტები გამოდგა, თუ არა? დააკვრევინეს ან აგალობეს იმისთანა კაცსა, ვისაც ქართული არც გალობა გაუგონია და არც ქართული ენა იცის, თუ არა? მაგალითად, რომელიმე იტალიელი აქაურის თეატრის ორკესტრიდამ მიუწვევიათ თუ არა იმის დამწერებსა, რომ ან ეგალობებინათ, ან დაეკვრევინებინათ?

ჩვენის აზრით თვით გალობის გაშინჯვა და ნოტების დაწერის თადარიგის დაწყებაშივე მუზიკის კარგი მცოდნე კაცების მოწვევა არის საჭირო. ჩვენ არ ვიცით მოუწვევიათ ვინმე თუ არა, მხოლოდ სასურველი კი არის, რომ ამ საქმეში უფალი სავანელი დაესწრას. უფალი სავანელი მუზიკისათვის ქალაქში პატივსაცემი მოღვაწეა და სამუზიკო შკოლისათვის სვინიდისიერათ შრომობს. ამასთანავე, რამდენათაც ვიცით, მოწადინებულია ქართული სახალხო მოტივები ნოტებით დასწეროს და, როგორც იმისის ბეჯითობისაგან ვიცით, დასწერს კიდეცა. თვითონ ქართველი კაცია და, რასაკვირველია, ქართულს გალობასაც გულს დაუდებს.

რაც ზემოდ მოვიხსენეთ, ამაზე ბოლოს იქნება გვითხრან: ეგ ყველა კეთილიო, მაგრამ ყველას ხარჯი მოუნდებაო და აბა, ღონისძიება სად არისო. ეს, რასაკვირველია, საფიქრებელია, მაგრამ მგონია ამისი მოპოებაც ადვილად შეიძლება, ამ ღონისძიებისათვის პირველი მაგალითი მოგვცა ყოვლად უსამღვდელოესმა ალექსანდრემ ორმოც-და-ათის თუმნის შეწირვითა,—ახლა საჭიროა ამ მაგალითს მივბაძოთ და შეძლებისა დაგვარად შევსწიროთ ამავე საგნისათვის. ამისათვის ერის-კაცებში ხელის-მოწერა რომ გაიმართოს, კარგი იქნება. და ამისათვის ჩვენს თხოვნას გამოვუცხადებთ ყოვლად უსამღვდელოესს ალექსანდრეს, რომ მან იკისროს ეს საქმე. მოიმედენი ვართ, რომ სხვანი უსამღვდელოესნიც: იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოსი ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებენ.

ამ ხელის-მოწერით ერთი ასიოდე თუმანი კიდევ როგორ არ შეიკრიბება, რომ ქართულ გალობის საქმე თავს მოვიდეს?

პ. უ.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

თუმცა ჰერცოგოვინაში და ბოსნიაში ბრძოლა ცოტად თუ ბევრად შეწყნარდა, მაგრამ ავსტრი-ვენგრიის მდგომარეობას განსაცდელი არამც თუ არ მოჰკლებია, არამედ დღე-დღეზედ უფრო ემატება. ავსტრი-ვენგრიას, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ დროებით უნდა შეედგა ფეხი ბოსნა-ჰერცოგოვინაში და ცალკე პირ-შეკრულობით უნდა დაედგინა თვისი ურთიერთობა ოსმალეთთან. მაგრამ ყველა ეს უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც ავსტრიის მთავრობას ფიქრშიაც არა ჰქონდა (ან, თუ ჰქონდა, საჯაროდ მაინც არ გამოუცხადებია და არ უანგარიშნია), რომ ბოსნია თუ ჰერცოგოვინა ასე გაუჭირებდნენ საქმეს და იმოდენა მსხვერპლს მოითხოვდნენ თვის დასამარცხებლად. თავის დროზედ მოგახსენეთ, რომ რაკი ავსტრი-ვენგრია სისხლს დაღვრის მეთქი, მაშინ აღარ დასჯერდება ბერლინის კონგრესის განაჩენს და უფრო მეტს მოთხოვნილებას დასდებს მეთქი, რის გამოც კონგრესის გადაწყვეტილებას არავითარი სიმტკიცე არ ექმნება. სწორედ ასე მოხდა კიდეც. ამოდენა ხანია ავსტრია მოქმედობს ბოსნიაში, მაგრამ ჯერ არავითარი პირობა არ შეუკრავს მას ოსმალეთთან. ოსმალეთს, რასაკვირველია, ჰსურს თვისი უმაღლესი უფლება მაინც დაიცვას ბოსნა-ჰერცოგოვინაზედ და დაუდვას რამე ვადა ავსტრიის ჯარის იქ ყოფნას. ავსტრიას, თავისის მხრით, არც ეს ვადა ჰსურს და არც უმაღლესის უფლების შერჩენა ოსმალეთისათვის. რაკი ამოდენა მსხვერპლი დავდევო, ეხლა სრულიად სხვა საბუთით უნდა მოვეპყრო ბოსნიასაო, ამბობს ავსტრია. ამ შემთხვევაშიო ბერლინის კონგრესის განაჩენს არა აქვს ძალაო, რადგანაც იმაში არაფერი არ არის მოხსენებულიო იმ წინააღმდეგობაზედ, რომელიც დამიხვედრაო ოსმალეთმა და იმ მსხვერპლის რაოდენობაზედ და დაფასებაზედ, რომელიც მე დავდევიო.

ავსტრი-ვენგრიის განსაცდელი ამით არა თავდება. თვით შინაობაშიაც ეხლართება საქმე. საზოგადოებაში ორ გვარი მიდრეკილება სუფევს ბოსნიის საქმის შესახებ. საკუთრივ ავსტრიაში, საზოგადოების აზრი იმ გვარად არის მომართული, რომ ოსმალეთთან რომელიმე პირ-შეკრულობის გაგონებაც კი არ უნდა. ბოსნია და ჰერცოგოვინა მთლად და სამუდამოდ ჩვენი უნდა იყვნენო. ვენგრიაში კი სრულიად წინააღმდეგი მიმარ-

თულება სუფევს. ვენგრიას, როგორც მოგეხსენებათ, არ უნდათ სლავიანის ტომის გაძლიერება ავსტრიაში. გეხსომებათ, თუ რა გვარად აღელვებული იყო ვენგრიის საზოგადოება რუსთ-ოსმალოს ომიანობის დროს. ეხლა ეს ღელვა უფრო გაძლიერდა და მიეცა მას უფრო მტკიცე ხასიათი. ვენგრიელების აზრით ავსტრიამ რომ ბოსნა-ჰერცოგოვინა შეიძინოს, მაშინ ის უპირატესობა და მნიშვნელობა, რომელიც ეხლა ვენგრიელებს უპყრიათ, გადიწონს სლავიანებისაკენაო, რომელნიც ჩვენი მარადი მტერნი არიანო და ავდღეს დაგვაყრიანო. ამისათვის ვენგრიის სატახტო ქალაქში, პეშტში, დიდი მოძრაობაა და ღელვა რათა უკან დააბრუნებინოს მთავრობას ბოსნიაში გაგზავნილი ჯარი და სრულიად გაამშვებინოს ხელიდამ ახლად დაპყრობილი ადგილები. რასაკვირველია ამისთანა თხოვნა მოუცდებათ ვენგრიელებს, რადგანაც ავსტრიის მთავრობა, რაც უნდა თავში იცემოს და ინანოს, დაწყებულ საქმეს ვეღარ გაანებებს თავს თვისდა შესარცხვენლად. მაგრამ საქმე ამაში არ არის. ამ გარემოებას აქვს მნიშვნელობა თვით ავსტრიის შინაურ მოწყობილობისათვის სახელდობრ ეხლა, როდესაც საზოგადოდ მთელის ევროპიის სახელმწიფოთა ურთი-ერთობას არა ერთი ჩხირი აქვს გამოდებული და როდესაც ვენგრიელების მოძრაობასაც, შესაძლებელია, მიეცეს არა ჩვეულებრივი მნიშვნელობა... ვენგრიელები ძალიან აღელვებულნი არიან მეთქი, ამ ჟამად. 23 სეკტემბერს პეშტის გავლენიან მოქალაქეთა ჰქონდათ კრება, სადაც გარდასწყვიტეს გაემართათ 29-ს დიდი სახალხო ყრილობა. კრებამ დასდვა შემდეგი წერილი პეშტის მცხოვრებთადმი:

„მოქალაქენო! ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ველები მოსვრილნი არიან ვენგრიელების სისხლით. ეს სისხლი გვიწვევს ჩვენს საქმეზედ. ჩვენ ერთ-ხმად უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ომიანობა ჩვენ მიერ არ არის დაწყებული; რომ ვენგრიის ხალხს არასოდეს არ ნდომებია ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დაპყრობა და არასოდეს არ აპატიებს მათ, ვინც ხელი მიჰყვა ამა დაპყრობას: რომ დაღვრილი სისხლი და დაფანტული ქონება ხალხისა შეადგენენ დანაშაულობას, რომლისათვის პასუხი უნდა გასცენ მათ, ვინც თავის ნებობას (ПРОИЗВОЛЪ) უფრო მეტს პატივსა ჰსცემს ვიდრე ხალხის ნებას, ვინც მშიშარა, როდესაც ჩვენგან ეჭირა მხარი, და შეიქმნა გულადი, როდესაც შეიქმნა ჩვენ მოწინააღმდეგედ. მოქალაქენო! ჩვენ მოგველის მძიმე შიში. რა დაეცემა ოსმალეთის ხალხია მოგვადგება და გაგვიტაცებს სლავიანობის ტალღა. ჩვენის მთავრობის ბოროტი პოლიტიკა ერთის მხრით ჰსწყვეტს ოსმალოებს ვენგრიის იარაღით, მეორის მხრით უღვიძებს სლავიანებს ჩვენდამი ძულვას. იგი მთავრობა ხარჯავს ჩვენს ფულს და ჰღვრის ჩვენს სისხლს უცხო ქვეყნელთათვის, და მადლობის მაგიერ უნერგავს მათვე ჩვენდამი მტრობას. გამოფხიზლდით, მოქალაქენო, და აღიარეთ მთელის ხალხის სახელით წინააღმდეგობა ამ უგუნურ პოლიტიკას. შეიყარენით 29 ამ თვეს საჯარო ყრილობაში“.

მართლა და დიდ-ძალი ხალხი დაესწრა ამ დღეს ყრილობაში. ამ ყრილობამ დასდვა—მოითხოვოს ჯარის უკან დაბრუნება ბოსნიიდამ, მთავრობის მიცემა სამართალში და დეპუტაციის გაგზავნა მინისტრ-პრეზიდენტთან რათა გამოუცხადოს მას ყრილობის გარდაწყვეტილება

უნდა მოგახსენოთ, რომ ვენგრიის სამინისტროს დაუტოვებია თვისი თანამდებობა და მით თითქო თანხმობა ულიარებია საზოგადოების აზრისა, ესე იგი პარლამენტის ნდობის იმედი აღარა ჰქონია.

---

## მოკლე შენიშვნა სამძღვარ გარეთიდამ

(შემდეგი [1])

ჩემს მყოფობის დროს კელნის ქალაქში, ერთ დილას ივლისის 15 ცეცხლის გემით წავედი კელნიდამ მილხეიმში და ნახევარ საათის შემდეგ იქ ვიყავი. ეს პატარა ქალაქი მდებარებს მდ. რეინის მარჯვენა ნაპირზე და ამ ჟამად მცხოვრებლების რიცხვი აქ 17,000 სულამდინ იქნება; მათ შორის 3,000 მაინც მუშა ხალხი უნდა იყვეს. ამ ქალაქში ბევრია სხვა და სხვა ქარხანები და უმეტესი ნაწილი ეკუთვნის ნახევარ—ზავერდის ანუ ზამატის ქარხნებს. აი ამ ქარხნებში მუშაობენ, ლუკმა-პურისათვის, წელებზე ფეხს იდგამენ უძამულონი მუშანი. მკითხველისათვის ძნელი წარმოსადგენია ის საცოდაობა, რა საცოდაობაშიაც ესენი არიან. დილით მოკიდებული საღამომდის ოფლში იწურებიან მუშაობით და კვირაში ერთხელ კი ძლივს ეღირსებიან ხოლმე ხორცის ჭამას. ჩაცმა-დახურვას ნუღარ იტყვით. თითქმის ზამთრობით და ზაფხულობით ერთსა და იმავე ტანისამოსში არიან. ერთის

[1] „ივერია“ № 37, 1878 წ.

სიტყვით, როგორც საქსონიაში, ისე რეინის მაზრაში რამდენათაც გლეხი ცხოვრობს კარგად და არის სიფაქიზეში, იმდენად საძაგლათ და ვაი-ვაგლახით ცხოვრობს დღიური მუშა. რომ კარგა შეადაროს მკითხველმა დღიურის მუშის ცხოვრება გლეხის ცხოვრებასთან, მე გავაცნობ მას ორის მუშის სახლობას მაინც.

წარმოვიდგინოთ სამ სართულიანი, გარედამ გაულესავი, უმოაჯარო და საშუალო ფანჯრებით სახლი. დავუმატოთ ამას ისიც, რომ ეს სახლი გარედამ ძლიერ ჰგავს სატუსაღოს. აი ეს სახლი დაყოფილია პატარ-პატარა სადგომებათ და ამ სადგომებში სცხოვრობენ ნახევარი ხავერდის ანუ ზამატის მქსოვლები. აბა ვეწვიოთ რომელიმე მუშის სახლობას. აი პატარა ოთახი და ამ ოთახის ფანჯარასთან აყაყულია ქსოვის მაშინა, ამ მაშინის წინ სდგას ძალზე ჭაღარა-შერეული კაცი და ბეჯითად ჰქსოვს, რადგანაც ამაზეა დამოკიდებული მისი ცხოვრება. სახლის ერთს კუნჭულში სდგას სარეცხის ბოჩქა ანუ კასრი და ნარეცხი ისევ შიგ დგას, სახლის მეორე კუნჭულში; კიდევ რკინის ფეჩი დგას და აქვე ალაგია პატარა ქვაბი და ჭურჭელი: აქვე დაახლოებით სდგას ერთი ძველი სკამი. მუშის ცოლი ჩითის კაბაშია გამოხვეული და პატარა ბავშვი ცარიელ პერანგა უჭირავს ხელში და ნელ-ნელად ხელში არხევს, და ამასთანავე თითქო ეუბნება: „შვილო, ნუ იტირებ ამ უცხო კაცთან.—ლაპარაკი დაგვაცადე, უნდა ჩვენი მწუხარება ამა'აც შევატყობინოთ.“ ეს დედაკაცი, რასაკვირველია, სულ ერთს ადგილას ტრიალებს, რადგანაც ოთახის სიპატარავე გავლის-გამოვლის ნებას არ აძლევს.—ახლა ამათი საწოლი დავათვალიეროთ. საწოლი ოთახი ხომ უფრო პატარაა და ქვეშ-საგები ძლივს გაუმართავთ;—ზედაც ჭუჭყიანი ლოგინია გაგებული! ამის მეტი არაფერია აქ და კიდევაც რომ ჰქონოდათ რამე, იმის დადგმას ანუ დაწყობას ვერსად მოახერხებდნენ. ბავშვებს სადღა აწვენენ? იკითხავს მკითხველი. ბავშვების საწოლათ აქვთ ერთი პატარა ოთახი ჩარდახში, თუ შეიძლება ოთახათ ჩაითვალოს; და, რასაკვირველია, თუ იქ სიცივის გამო ზამთრობით და სიცხის გამო ზაფხულობით როგორ ისვენებენ ბავშვები. მაგრამ ხომ გაგიგონია: „გაჭირება მიჩვენეო, მე შენ გაქცევას გიჩვენებო.“ ამ სადგომში ჭაღარა შერეული და მწარეთ ჩაფიქრებული მუშა აძლევს რვა მარკს თვეში, ანუ ორს მანეთს და 64 კაპეიკს. მოხსენებულს სადგომში ცხოვრობს სულ ექვსი სული: ცოლი და ქმარი და ოთხი კიდევ ამათი შვილი. როგორც დაწვრილებით შევიტყე თვითონ მუშისაგან, სამუშავოს იღებს კვირაში 10 მარკს, თვეში ორმოც მარკს; ჩვენებურ ფულზე რომ გადვიტანოთ, სულ ეს შეადგენს თვეში 13 მანეთს და 20 კ. აქედამ რომ გამოვთვალოთ სახლის ქირა, დარჩება 10 მან. 56 კ ამ ფულით უნდა გამოჰკვებოს საწყალმა მუშამ თავისი ცოლ-შვილი და კიდევაც უნდა ჩააცვას და დაახუროს. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ამ ფულიდგანვე ხარჯიც უნდა გარდაიხადოს და იყიდოს ნევსები. აგრეთვე საჭირო წვრიმალი ნივთებიც მაშინისთვის. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მიზეზით მოხსენებულ სახლობას კვირაში ერთხელ ძლივს ეღირსება ხოლმე ხორცზე კბილის დადგმა.

აბა ახლა შუა სართულში ავიდეთ და ვეწვიოთ, რომელიმე სხვა მუშის სახლობას. აი კიდევ მუშის სადგომი. სამუშაო ოთახი ცოტა უფრო მოზდილია; აქაც ფანჯარასთან ჰსდგას ქსოვის მაშინა და უდგია წინ პირ-ხმელა კაცი, რომელიც რაღასაც ასწორებს. ერთს კედელთან დგას სარეცხის ვარცლი და ახლათ დარეცხილი თეთრეულობა და ჩითეულობა სკამზე აწყვია; მეორე კედელთან ჰსდგას გრძელი სკამი და ბოლოს უდგია ჩალის სკამი; მესამე კედელთან ფეჩი ჰსდგას და იქიდამ თფილი ჰაერი სცემს კაცს პირის-სახეზე, ამისათვის სახლში ძრიელ ცხელა. მუშის ცოლი ერთს დამტვრეულს შკაპის მგზავსის წინ ჰსდგას და რაღასაც ფუს-ფუსებს. ამ სამუშაო ოთახს გვერდზე აკრავს საწოლი ოთახი და ესეც ისე პატარაა როგორც პირველის მუშის საწოლი ოთახი. აქაც ერთის ლოგინის მეტი არაფერი ჰსდგას. ამ სახლობასაც ბავშვებისათვის საწოლი ოთახი ჩერდახში აქვს. ახლა რამდენი სული ცხოვრობს ამ სადგომში!—ცოლ-ქმარი ხუთის შვილით; მაშასადამე შვიდი სული თავსდება აღწერილს სადგომში. რადგანაც ამ სადგომის სამუშაო ოთახი ცოტა რაა რომ მოზდილია, ამისათვის პირ-ხმელა მუშა აძლევს ქირას თვეში 11 მარკს, ანუ სამს მანეთს და 75 კაპეიკამდის. ეს მუშა უფრო უმაწვილი და მძლავრია, მინამ პირველი მუშა. ამისათვის ამას უფრო შეუძლიან დიდხნობით მუშაობა. ამას გარდა ერთი მოსწრებული შვილიც ჰყავს,—თოთხმეტის წლისა, რომელიც ხშირათ ეხმარება მამას და დედას. ამ მიზეზების გამო პირ-ხმელა მუშა კვირაში იღებს 18 მარკამდის, თვეში 72 მარკს. აქედამ რომ გამოვიდეთ სახლის ქირა, დარჩება ძირს 61 მარკი.

დანარჩენ ფულიდამ უნდა გამოვიდეთ კიდევ; სახელმწიფო ხარჯი, აგრეთვე წვრიმალი იარაღის ხარჯიც. დანარჩენის ფულით პირ-ხმელა მუშამაც უნდა გამოჰკვებოს თავისი ცოლ-შვილი და კიდევაც ჩააცვას და დაახუროს. „აბა როგორ უნდა გავცხოვრო ჩემი ცოლ-შვილი ამ ფულით!“ მითხრა მე ამ მუშამ, როდესაც ლაპარაკი დავუწყე მუშების მდგომარეობაზე. „ხომ იცით თქვენ, თუ რა სიძვირეა ეხლა, როგორც საჭმელ-სასმელისა, ისე ჩაცმა-დახურვისა. აბა შემოხედეთ ამ ჩემს შარვალს, თუ როგორ არის დაძველებული. ბარემ ერთი თვეა ვემზადები ვიყიდო, მაგრამ ვერ მომიხერხებია. უნდა გითხრათ, რომ კი არის შიმშილით არ ვიხოცებით, თორემ სხვა კი არაფერი ხეირი არ გვაყრია. ახლა ამ სიცხეში მუშაობა, ამ გვარ სოროში სწორეთ ცეცხლია, მაგრამ რასა ვიქ? სად წავიდე? წავიდე სოფლად? მე იქ მამული არა მაქვს და უმამულო კაცს არც იქ აყრია ხეირი აი ჩემი მდგომარეობა; მაგრამ მე კიდევ რა მიშავს!? ხომ გაიგეთ, რომ კვირაში მაინც 18 მარკამდინ ავიღებ ხოლმე. ვაი კიდევ იმათი ბრალი, რომლებიც 10 მარკზე მეტს ვერ იღებენ და ამისთანეები ჯერეთ აი ამ სახლში რამდენიმე სახლობაა. როდესაც ეს პირ-ხმელა კაცი ლაპარაკობდა თავის და თავის მოძმეების მდგომარეობაზე, მისს ხმაში ისმოდა დიდი უკმაყოფილება ახლანდელს მოწყობილებისადმი და თვალებიდამ სულ ცეცხლს აფრქვევდა. „როგორ არ უნდა დაეწვას კაცს გული, განაგრძელა მუშამ რამდენიმე ჩემის კითხვის შემდეგ, რომ მე და ჩემი მოძმენი წელებზე ფეხს ვიდგამთ, რომ რა არი, რომელიმე ვაჭარი გავამდიდროთ და ჩვენ კი ჩვენის ცოლ-შვილითურთ ამოვიძროთ სული სიღარიბეში და სისაწყლეში. ახლა ყური დაუგდოთ გაზეთებს. მე თქვენ გითხრათ, გული შესტკივათ ჩვენთვის და ჩვენს მდგომარეობაზე დასწერენ რასმეს. არა, ესენი ჩვენზე არ ჰფიქრობენ და ვინც კი ცოტათი მაინც ჰფიქრობს ჩვენზე, იმას ტალახში სვრიან და ვინ იცის, თუ რა სახელს არ უწოდებენ.“ ჩემს კითხვაზე: „განა მუშები თვალს ადევნებთ გაზეთებსა.“ მიპასუხა ამ მუშამ: მაშ რას უნდა ვადევნოთ თვალი? რაც უნდა იყვეს ვფიქრობთ: „აი დღეს, აი ხვალ მოწინავე კაცები დაიწყებენ ჩვენზე წერას და ამის გამო გაზეთებს ბეჯითად ყურს ვადევნებთ. მაგრამ ჯერეთ ჩვენი იმედი იმედათ რჩება და ჩვენის დამცველების რიცხვი ძლიერ მცირეა.“ ამ მუშას ძლიერ კარგად ახსოვს ლასსალი და ამისი მოქმედება, აგრეთვე კარგად იცის ლიბკნეხტის და ყველა სოცია-დემოკრატების მიმართულება. ნუ იფიქრებთ, რომ ამ მუშის ცოლი კი ჩუმათ მდგარიყო და ჩვენის ლაპარაკისათვის მარტო ყური ეგდო. არა, ეს თავის ქმარზე ნაკლებ არ ლაპარაკობდა და გულ-ნატკენი ჰსთვლიდა თავის შევიწროებას. „მამული მქონდეს სოფელში და აქ დავრჩებოდი კი მაშინ? ან ამ სიღარიბეში ვიქნებოდი!? სოფელი რაც უნდა იყვეს სხვა არის; მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ სოფლათ მამული არა გვაქვს და ვართ დამოკიდებული ოღიურს მუშაობაზე.“ მეუბნებოდა გულ-დათუთქული დედა-კაცი, როცა მისი ქმარი ლაპარაკს შესწყვეტდა ხოლმე.

თუმცა მსურდა კიდევ მელაპარაკნა ამ ბედისაგან დაჩაგრულს ადამიანებთან, მაგრამ ამათ ოთახში ისე ძრიელ ცხელოდა, რომ კიდევ აქ დარჩენა შეუძლებელი საქმე იყო და იძულებული ვიყავი გამოვთხოვოდი. ამ ორის სახლობის აღწერაც მგონი საკმაო იყვეს მკითხველისათვის, რომ იქონიოს სრული წარმოდგენა იმაზე, თუ რა მდგომარეობაში არიან და რას ფიქრობენ ამ გვარს მდგომარეობაზე მუშები რეიჰნის მაზრაში, აგრეთვე თუ რა დიდი განრჩევაა სოფლის გლეხის ცხოვრებაში და დღიურ მუშის ცხოვრებაში. ამას შემიძლიან ისიც დავუმატო მხოლოდ, რომ მე დავიარე რამდენიმე მუშების სახლობა და ყველგან ისივე სურათები ვნახე, რა სურათებიც წარუდგინე მკითხველს ზემო მოხსენებულს სახლობაების შესახებ.

×

15 ივლისვე, ორის ნახევარზე მე გავსწიე მილხეიმის ერთს სახალხო სასწავლებელში და მეოთხე კლასის მასწავლებელს ვთხოვე ნება მოეცა მისის გაკვეთილისათვის ყური მეგდო *) ამან დიდის სიამოვნებით ნება მომცა და პირ-და-პირ შევედი კლასსში. მალე გაკვეთილებიც დაიწყეს. ჩემს დროს მასწავლებელი ჰკითხავდა მოწაფეებს ომის ამბავს საფრანგეთსა და გერმანიის შორის. მასწავლებლის ყველა ჰკითხვაზე მოწაფეები რიგიან პასუხს იძლევოდნენ და მათ ძლიერ ეტყობოდათ პედაგოგიური გაწრთვნა. ამასთანავე, როდესაც მასწავლებელი მოსთხოვდა, რომ ეჩვენებინათ ის ადგილები, სადაც დატაკება მოუხდათ ნემცებს და ფრანცუზებს, მოწაფეები შეუცდომე-

*) მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ გერმანიაში ყველგან სადილს უკანონითაც არის სწავლა.

ლათ აჩვენებდნენ ხოლმე კარტაზე, რომელიც პრუსიისა იყო ჩამოკიდებული კედლის ახლო. საზოგადოთ უნდა შევნიშნო, რომ ამ კლასსში სტოლები, სკამები და კლასის ყველა საჭირო ნივთები სულ ახალი სისტემისაა. პირველი გაკვეთილი რომ გათავდა, მასწავლებელს ვთხოვე, დაბალს კლასში წავეყვანე და ამან წამიყვანა პირველ კლასში, რომლის მასწავლებელს გარდასცა ჩემი სურვილი. ამ დაბალს კლასში დავრჩი ორს გაკვეთილზე ერთი გაკვეთილი გალობისა იყო, ხოლო მეორე თვლისა, ანუ არითმეტიკისა. მე არ ვრაცხამ საჭიროთ ავწერო, თუ რა ნაირათ მიჰყავდა მასწავლებელს ეს გაკვეთილები, რადგანაც ამ მასწავლებელს ისეთი მიხრა-მოხრა და პედაგოგიური წესები ჰქონდა და იცვავდა, რა პედაგოგიურს წესებსაც ხმარობენ საქსონიაში—ანუ პირნის მაზრაში და ეს წესები ხომ წინა წერილში ვრცლათ ავწერე. მე მინდა აქ მივაქციო მკითხველის ყურადღება სასწავლებელის სრულებით სხვა მხარეზე. აი საქმე რაში მდგომარეობს. როცა სწავლა გათავდა, მეოთხე კლასის მასწავლებელმა, რომელიც პირველი კლასის კარებში დამხვდა გამოსვლის დროს, მიმიწვია თავის ოთახში, სადაც სხვა მასწავლებლებიც შემოვიდნენ. მე ამათგან აი რა გავიგე სასწავლებელის შესახებ: მიღხეიმის სახარებო (своиселическая) სახალხო შკოლა, ანუ სასწავლებელი შესდგება ექვსი კლასისაგან და ამ სასწავლებელში მოწაფეები რჩებიან რვა წელიწადს,—ორს დაბალს კლასში ორ-ორს წელიწადს და სხვა კლასებში კი თითო წელიწადს. ამ ჟამათ მოწაფეების რიცხვი არის სულ 400-მდინ. ამათში მომატებული ნაწილი ვაჟები არიან და მცირე ნაწილი ქალები. ამ სასწავლებელში ექვსი წლის ბავშვებს იღებენ და ასრულებენ კურს თოთხმეტის ანუ ხუთმეტის წლის მოწაფეები. სასწავლებელი არის მოთავსებული ორს დიდს სახლში, ანუ შენობაში და სასწავლებელის ყოველ-გვარ ხარჯს იხდის ქალაქი: რაც შეეხება მასწავლებლებს, ესენი სულ ექვსნი არიან. თითო კლასს თითო მასწავლებელი ჰყავს და ყოველ საგანს ეს ასწავლის. ამ მასწავლებლებთ შორის არ არის დიდ-პატარაობა; ესენი მხოლოდ იმითი განირჩევიან ერთი-ერთმანეთისაგან, რომ ერთი მასწავლებელი პირველის კლასის მასწავლებელია, მეორე მეორე კლასისა, მესამე მესამე კლასისა... თითოეული მასწავლებელი ვალდებულია იზრუნოს თავის კლასზე და პასუხის მგებელიც ეს არის საზოგადოების წინ. ამას გარდა, რომ მასწავლებელს არ გაუჭირდეს საგნების სწავლა, დადებულია, რომ ერთი და იგივე მასწავლებელი იყვეს ერთსა და იმავე კლასში და მოწაფეებთან არ გადავიდეს ერთი კლასიდამ მეორე კლასში. რაც შეეხება სასწავლებელის საზოგადო საქმეს, ამას განაგებს მასწავლებლების რჩევა. სასწავლებელის შენობების პატრონობა კიდევ არის მინდობილი იმ მასწავლებლებზე, რომლებიც ამ შენობაებში ცხოვრობენ. სასწავლებელის ამ გვარ მოწყობილობას დიდი ზნეობითი გავლენა აქვს მასწავლებლებზე, რომლებთ შორის სუფევს ერთობა და მეგობრობა. მე რომ ვკითხე: თქვენგანი ვინ არის უმთვროსი, ანუ ზედა-მხედველი, მეთქი, ამათ სიცილათ არ ეყოთ ეს კითხვა და მითხრეს: „განა ბავშვები ვართ, რომ ზედა-მხედველი გვყავდეს. თითოეულს ჩვენგანს კარგად ესმის თავისი საქმე და რაღა საჭიროა აქ ინსპეკტორი, ანუ ზედა-მხედველი. „ინსპეკტორობა მასწავლებლებს შორის უწინ იყო," განაგრძელა ერთმა მასწავლებელმა, „და მგონი გერმანიის ზოგიერთს ადგილებში ეხლაც არის. ამ ჩვენს მაზრაში კი დიდი ხანია ეგ იეზუიტური წესი აღმოიფხვრა."

ასე, მოხსენებულს ექვს-კლასიან სასწავლებელს არა ჰყავს ზედა-მხედველი, ანუ მასწავლებლებთ შორის არ არის დიდ-პატარაობა: მაგრამ რომ, რომელიმე მასწავლებელმა არავითარი მთავრობის, ანუ სარწმუნოების წინააღმდეგი აზრი არ გაავრცელოს მოწაფეებს შორის და მინისტრისაგან დამტკიცებული პროგრამმა ყველამ შეასრულოს, მთელს მაზრის სახალხო სასწავლებლებს ჰყავთ მთავრობისაგან განწესებული ინსპექტორი, ანუ დირექტორი, როგორც ჩვენში ვეძახით, და ეს ინსპექტორი ერთხელ, ანუ ორჯელ გაშინჯავს ხოლმე ზემოთ აღწერილს სასწავლებელსაც.

მიღხეიმის სახალხო შკოლის მასწავლებლების ნივთიერებითი მდგომარეობა არის გვარიანი. ახალ-გაზდა მასწავლებელს აქვს ჯამაგირათ 400 მანეთზე მეტი და ყოველ სამს წელიწადში ემატება 100 მანეთი. ასე რომ მესამე წელიწადს მასწავლებელს აქვს ჯამაგირათ 500 მან. მეექვსე წელიწადს 600, მეცხრე წელიწადს 700 და სამსახურის მეთოთხმეტე წელიწადს კიდევ 800 მეტი და ეს უკანასკნელი რიცხვი ითვლება მასწავლებელის ნამდვილ ჯამაგირათ; ამის გამო თორმეტის წლის შემდეგ მასწავლებელს აღარ ემატება ჯამაგირი. რაც შეეხება სახლს, ამას არ აძლევს ქალაქი მასწავლებელს; მხოლოდ, თუ სასწავლებელის შენობაში მეტი ოთახებია, მასწავლებლებს შე-

უქლიანთ ეს ოთახები იქირავონ. აი ეხლა პირველი და მეორე კლასის მასწავლებლები ცხოვრობენ შკოლის შენობაში და თითოეულს მათგანს უჭირავს სამ-სამი მოზდილი ოთახი, შესაფერი სამზარეულოთი და აძლევს ქარას ექვს-ექვს თუმნამდინ წელიწადში.

ამ გვარი ცნობების გარდმოცემისათვის მასწავლებლებს დიდი მადლობა ვუთხარი და, რადგანაც ცოტა რა რომ მიგვიანდებოდა, გამოვწიე სიჩქარით სტანციისკენ. მე ჩავჯექი ორთქლით მავალ გემში ისევ კელნის ქალაქში წამოსასვლელად და გზაში მთელის დღის ჩემს შთაბეჭდილებებზე ვფიქრობდი.

ქართველი მგზავრი.

---

## რამეთუ კაცი ვარ.

(შემდეგი *)

### VI

ბევრმა საათმა გაიარა მას აქედ, რაც გერმასი და პავლე წავიდნენ და სნეული მეუდაბნოე დარჩა მარტოთ მღვიმეში.

მზე თან და თან მაღლა და მაღლა იწევდა და თავის მწვავს სხივებს ჰფენდა კლდის ფრიალოსა, რომელსაც ამის გამო მხურვალე ბუღი ასდიოდა და ავსებდა სულთა შემხუთველის სიცხით მეუდაბნოის სადგურსა.

წყლული თან და თან უფრო ჰსწვავდა საბრალო სტეფანეს, ციების სიცხე ემატებოდა და წყურვილი ჰსტანჯავდა საშინლად. წინ, მართალია, ლიტრა ედგა, პავლეს მოტანილი, მაგრამ დიდი ხანია რაც დაეცარიელებინა. პავლე და გერმასი კი მაინც არსად იყვნენ ჯერაც.

შეწუხებულის გულით დაუწყო ყურის გდება სულ განაბვითა, თითქო ფეხის ხმა მოესმა და ეგონა რომ პავლე მოდისო; მას შემდეგ თითქო ხმა-მაღლა ლაპარაკიც გაიგონა და გაგონების უმალ გამოქვაბულში ნელი ხმა გაისმა კვნესისა.

სტეფანეს უნდოდა დაეძახნა, მაგრამ უღონობით ისე უძლურად დაიძახა, რომ თვითონვე ძლივს გაიგო თავისი ძახილი, აღმოკვნესილი სნეულის გულიდამ და გამშრალის პირიდამ.

მიჰყო ხელი ლოცვას, მაგრამ რაღაც შინაგანმა შიშმა შეუშალა ლოცვისადმი გულმოდგინება. მთელი სასოწარკვეთილება მარტოობისა უცბად წარმოუდგა თვალწინ. იგი, რომელსაც იმისთანა ცხოვრება გამოუვლია, რომელსაც ბევრი ფათერაკი გადუხდია, ბევრი სიტკბოება დაულევია, ბევრი სიმწარე უნახავს; იგი, რომელსაც დიდის მხნეობით დაუძლევია თავისის გულის მხურვალე წადილნი; მოუკლავს ადამიანის გულის თქმანი, რათა თავ-გადადებით მიეცეს სხვას უფრო უმაღლეს საგანსა, იგი ამ წამს ამ მარტოობაში თავის თავს ისე უმწედ უნუგეშ ჰგრძნობდა, როგორც გზა დაბნეული ბავშვი, რომელსაც დედა დაუკარგავს.

მარტოდ მარტო იწვა მღვიმეში ის უბედური და მხოლოდ მისი ნელის ხმით კვნესაღა ისმოდა..... ბოლოს კლდეების დაგძელებულმა ჩრდილმა ამცნო, რომ მზე გადიხარა და მაშინ მის ტკივილს, წყურვილს და სასოწარკვეთილებას ზედ დაერთო ჯავრი და გაბოროტება

დაკუმშა მუშტი და დაიწყო დუდუნი და წყევლა-კრულვა. დროდგან დრომდე მის ბაგეთაგან აღმოითქმოდა ხოლმე სახელი შვილისა, ან პავლესი.

ბოლოს რისხვამ ისევ სასოწარკვეთილებას დაუთმო თავისი ადგილი. მეუდაბნოეს ეგონა, რომ ხელმეორედ მოესივნენ ის საზარელნი და მტანჯველნი წუთნი უწინდელის ცხოვრებისა, რომელიც დიდი ხანია დავიწყებისათვის მიეცა კიდეც.

აჰა წარმოუდგა თვალწინ, ვითომ მეფის სრა-სასახლიდამ შინ მოდის შემდეგ დიდის ლხინისა და ნადიმისა. შინა-ყმანი და მოსამსახურენი ისწრაფიან მოხვდონ თავიდან და მოხსნან გულიდამ გვირგვინები ვარდის ყვავილისა და ალვის ხის ფოთლისანი და შეჰმოსონ სადამურის ტანისსამოსითა. ვერცხლის სანათურით ხელში მიდის თავის საწოლისკენ. მხიარულია და პირ-მცინარი: იქ ელის მას ახალგაზდა ცოლი, დედა მისის გერმასისა. ცოლი მშვენიერია და გაგიჟებითაც უყვარს იგი მას. ემზადება, რომ ცოლს უამბოს ოხუჯობა მეფის სუფრაზედ ნათქვამები. აი შევიდა კიდეც საწოლის წინა ოთახში. სადაც ორი მხევალი ხელზედ მოსამსახურე დედა-კაცი ყოველთვის იძინებდა ხოლმე. ამ ხანად იქ მარტო ერთის ეძინა და მძიმედ ჰქშენდა. მძინარეს სახეზედ ღიმილმა დაუწყო თამაში. რა სასაცილოდ დაუღია პირი, თქვენი ჭირიმე! საწოლი მეტად ბუნდად არის განათებული. ფეხ-აკრეფით და ისევ პირ-მცინარედ მიდის სპილოს ძვლის ტახტისა-

*) „ივერია“ № 38. 1878 წ,

კენ, რომელზედაც უნდა იწვეს მისი მშვენიერი ცოლი გლიცერა. სანათური მაღლა იდო, დახედა ქვეშაგებს; ქვეშაგები ხელუხლებელია და არავინა წევს. სახიდამ დაეკარგა ღიმილი და მას აქედ ბევრი წელიწადი გავიდა და არც ერთხელ აღარ გაუღიმნია, იმიტომ რომ გლიცერა გაექცა ქმარსაცა და მის შვილსაცა.

ოცი წელიწადია მას აქედ და აი ეხლა ხელახლად მოუბრუნდნენ ეგრე მწარედ დალეულნი დღენი და ტანჯვით მოსილნი გულის ტკივილნი; ხელახლად წარმოუდგა მას, როგორც მაშინ, ცარიელი ქვეშაგები თავისის ცოლისა, ხელახლად იგრძნო მან თავის თავი მარტოდ და უნუგეშოდ როგორც იმ ღამეს, როცა ცოლი გაექცა.

მღვიმის შემოსავალში ადამიანის ჩრდილს შეასწრო თვალი. იმ საშინელ მოჩვენებისაგან განთავისუფლებულს სნეულს გულზედ მოეშვა, როცა იცნო პავლე, რომელიც შემოვიდა და მის წინ დაეშო მუხლებზედა.

— წყალი, წყალი! ემუდარებოდა ნელის ხმით სტეფანე და პავლე, რომელსაც გულს უწყლავდა ტანჯვა სტეფანესი, ფიცხლავ წამოვარდა ფეხზედ, და რა ნახა რომ ლიტრა ცარიელია, წამოავლო ხელი, გაიქცა წყაროზედ და უმალ მოუტანა წყალი. სნეულს მიაწოდა წყალი და მან ხარბად დალია გამაგრილებელი სასმელი. სნეულს გულზედ მოეშვა და ჰსთქვა: „უჰ, ეხლა კი ისევ კარგად შევიქენ! სად იყავ აქამდინ? მე აქ წყურვილით ასე ვიტანჯებოდი“.

პავლემ ისევ წინ წამოუჩოქა სნეულს, მის ქვეშაგებზე პირქვე დაემხო და პასუხი არ მიჰსცა. სტეფანეს ეს ამბავი გაუკვირდა და რა ნახა, რომ პავლე გულამოჯდომით ქვითინებს, აღარ გამოეკიდა. ერთს საათამდე მღვიმეში ხმა ამოუღებელი ჩუმობა იყო. ბოლოს პავლემ წამოიხედა და დაიწყო ლაპარაკი:

— შემინდე, ჩემო სტეფანევ, შემინდე! მე ვლოცულობდი და ვგვემე ჩემი ცოდვილი სხეული, რომ ისევ მოვიპოვო ჩემი წინანდელი სულის მოსვენება და ამასობაში დამავიწყდა შენი უმწედ-ყოფნა და ტანჯვა. თვით წარმართიც არ იქმოდა ამისთანა ცოდვას.

სნეულმა ალერსით შეხედა პავლეს, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც თავისას დუდუნებდა:

— ადამიანს მარტო თავისი თავი ჰსდომებია და მარტო ეს ანგარი თავ-მოყვარეობა გვიმორჩილებს ჩვენ და ჩვენზედ უფლობს. აბა სხვის მწუხარებისათვის ვინ იტკენს ხოლმე თავს კაცთა შორის, ვან? ამის შემდეგ ჩვენ, ჩვენ როგორღა ვბედავთ ვჰსთქვათ, რომ სულის ცხონების გზაზედ ვდგევართო!...

პავლემ მტკივნეულობით ამოიკვნესა და თავი მიაყრდნო სნეულის მკერდსა. სნეულმა სიყვარულით ხელი გადუსვა მის აბურძგნულს თმას

ამ ყოფაში იყვნენ, რომ სენატორი და გერმასი შემოვიდნენ მღვიმეში.

უქმი ბოგინი მეუდაბნოებისა სრულიად არ მოჰსწონდა სენატორს პეტრეს და ეწინააღმდეგებოდა მისს ჰაზრს ადამიანისა და ქრისტიანის მოვალეობაზედ; ხოლო როცა ტანჯულს და მწუხარეს ვისმეს ჰხედავდა, იგი არ დაეძებდა ვინ არისო და ყველას სიხარულით შველოდა რამოდენადაც კი შეეძლო.

ის სურათი, რომელიც მან აქ დაინახა, ძალიან იამა, სიყვარულით მიუბრუნდა პავლეს და უთხრა:

მე აქ მეტი ვარ, გულდადინჯებით შემიძლიან თავი დაგანებოთ, იმიტომ რომ, როგორც ვხედავ, შენ პავლევ, კარგი პატრონი ხარ სნეულისა.

პავლე წამოწითლდა, გაიქნივა თავი და უპასუხა:

— მე ჩემის საკუთარის თავის თავდარიგს შევუდექი, დავივიწყე ჩემი მოვალეობა და ეს სნეული მარტოდ დავაგდე და წყურვილითა ვტანჯე. ეხლა კი მე არ მოვშორდები, ნამდვილად გვერდით ვეყოლები და ღვთისა და თქვენის შემწეობით მოვარჩენთ კიდეც!

პეტრემ ალერსიანად დაუქნია თავი და თუმცა არა ჰსჯეროდა, რომ მეუდაბნოე თავის თავს სამართლიანად ამხილებს, მაგრამ მისი თავდადება სნეულისათვის კი ჰსწამდა. როცა პეტრე ამათ გამოეთხოვა და მღვიმედამ გამოდიოდა, უბძანა გერმასს, რომ ყოველ დილით შემატყობინე მამის შენის ამბავიო. ამით პეტრეს მარტო ის კი არ უნდოდა, რომ თვალყური ჰსჭეროდა სნეულზედა, არამედ ისიც, რომ ხშირად, შეხვედროდა პირის პირ გერმასს, რომელმაც ძალიან მიიზიდა პეტრეს გული და რომლის დახსნაც უქმის ცხოვრებისაგან ძალიან მოიწადინა.

პავლემ უარი ჰსთქვა და არ მიიღო მონაწილეობა მამისა და შვილის ღარიბულს ვახშამშია. მე აქ დავრჩები ავათ-მყოფთან, უთხრა მან გერმასს და რადგანაც ამ მღვიმეში სამნი ვერ დავეტევით, შენ ჩემს მღვიმეში წადიო. გერმასი ადგა და წავიდა.

დღეს ახალი ცხოვრება წარმოუდგა თვალ წინ ჭაბუკსა. ის სევდა და სურვილი, რომელიც აქამომდე ურიგოდ და ბუნდად აღძრა გულში მას აქედ, რაც ალექსანდრიაში იყო, ეხლა ნათლად გამოესახა. მან იგრძნო, რომ უნდა თავი დაანებოს ცხოვრებას მეუდაბნოისას და თავი იცადოს თავის-ნებად ცხოვრებაში.

„მამა ჩემიო, ამბობდა იგი გულში; მეომარი იყოო, და ვიდრე აქ მღვიმეს შემოეფარებოდაო, სრა-სასახლეში ცხოვრებდაო: პავლე კიდევ მენადირი იყო და აქამდინაც დისკოს სროლა არ დაჰვიწყებიაო. მე უმაწვილი კაცი ვარ, ღონიერი და კეთილშობილი, როგორც ისინი და პეტრეს სიტყვით წამოსადეგი ვაჟკაციც ვიქნები. მე არ მინდა იმის შვილებსავით ქვები ვზიდო და ვამტვრიო. იმპერატორს მეომარი უჭირს და არა მგონია ან ამალეკიტელებს შორის და ან თვით რომაელებს შორისაც ერთი ვინმე იმისთანა გამოჩნდეს, რომ მე ვერ შევბედო და ომი ვერ გავუსწორო“.

ამ სიტყვებზედ ყელი მოიღერა, ტანში გაიმართა და თვისი განიერი მხარ-ბეჭი მოიმარჯვა.

როცა ძილი მოერია, სიზმარში მოეჩვენა, რომ ვითომ სათვალავნო მოედანზე დგას და პავლე მდიდარს მოწეულს ტანზედ აცმევს; მოეჩვენა, რომ ხუჭუჭი თმა მისი სურნელებით არის სავსე და თავზედ დადგმული აქვს გამარჯვების დაფნის გვირგვინი; მოეჩვენა მშვენიერი ქალიც, რომელიც სენატორის სახლში ნახა.

## VII

სენატორის წამალმა ტკივილი დაუამა, ასე რომ სტეფანეს დაეძინა კიდეც. პავლე გვერდით ეჯდა და ასე ფთხილობდა, რომ არც კი ინძრეოდა. სუნთქვასაც კი იკავებდა რომ რა არი, სნეულს ძილი არ დავუფთხოვო.

შუაღამისას მოხუცს გამოეღვიძა და პავლეს ჩამოუგდო თავის შვილზედ ლაპარაკი. მამას ჰსწყინდა, რომ გერმასს ხანდისხან საერო ფიქრები მოჰსდიოდა; მას გული ჰსტკიოდა, რომ შვილი მხარს უქცევს იმ სულის ცხონების გზას, რომელზედაც თვითონ და პავლე ასეთის მოჭირვებით ძლივ-ძლივ დადგნენ.

— გამიგონე, პავლევ, — უთხრა ბოლოს სტეფანემ. აი რამდენი წელიწადია ჩვენ ერთად ვცხოვრებთ და ჯერ ერთხელაც არ მიკითხავს შენთვის შენის ახალგაზდობის ამბავი და მისი, თუ როგორ გადმოვიდა შენზედ მადლი უფლისა. ყოველივე ეს — მეტის მეტია ჩემგან და არ ვიცი ამის შემდეგ შემიძლიან თუ არა კიდევ ჯავრობა გერმასზედა: ჩვენ ყველანი, სწორედ რომ ჰსთქვას კაცმა, მარტო თავის-თავისათვის ვზრუნავთ და სხვებზედ კი არა გვეფიქრება რა. მე მარტო ის ვიცოდი, რომ შენ თავდაპირველად კერპთ მსახური ყოფილხარ და მერე კი ბევრი წამება გამოგივლია ჭეშმარიტის სარწმუნოებისათვის და რა კი ეს ვიცოდი, ესეც სამყოფი იყო ჩემთვის, სხვა აღარა გამოვკითხე რა. შენც თითონ, როგორც შევნიშნე, არ გიყვარდა შენს უწინდელს ცხოვრებაზედ ლაპარაკი. ჩვენ უნდა გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, ვითარცა თავი ჩვენი და შენზედ უკეთესი მოყვასი აბა ვინა მყავს. დიაღ, ყოველივე ეს თავის თავის მოყვარეობას ნიშნავს ჩემის მხრით! ღვთისადმი მისაღწევს გზაზედაც მრავალი ჩაქცეული ხიდი ყოფილა, ჩემო ძმაო, მრავალი კლდე-ღრე!

— აბა ჩემი რა გიამბო! უპასუხა პავლემ: ამას კი გეტყვი, რომ გარდასრული ძნელი დასავიწყებელია. გინდა რომ თავიდამ მოიშორო, გგონია, რომ აი ეს არის დავიწყებას მიეცი ყველაფერიო და განვთავისუფლდიო, მაგრამ უცბად ისევ წარმოგიდგება თვალწინ, რაც გარდაგხედია და როგორც ძველს ნაცნობს თავს გიგრავენ. თუმცა ბაყაყი ზოგჯერ ხის წვერზედ მოექცევა ხოლმე, მაგრამ ისევ უკანვე გუბეში ჩამოხტება.

— რაც გარდაგხედია მისი დავიწყება შეუძლებელია, შეუძლებელი! დაიძახა სნეულმა: მე ძილი აღარ მომდის. მიამბე შენის ახალგაზდობის ამბავი და ისიც როგორ გაქრისტიანდი. როცა ორნი დიდხანს ერთს გზაზედ მიდიან და ბოლოს გაყრაზედ მიუვარდებათ საქმე, უნდა ჰკითხონ მაინც ერთმანეთს, ვინა ხარ და რა გქვიანო.

პავლემ ხმა არ ამოიღო და კარგა ხანს გაუშტერა თვალი მღვიმის ცარიელს კედლებს. ბოლოს დაიწყო:

— მამა ჩემი ძალიან მდიდარი კაცი იყო; ჩვენს ოჯახს მეფური ცხოვრება ჰქონდა. ჩვენ ბევრი ყმა გვყვანდა და უმეტესი ნაწილი საშინლად გარყვნილი იყო. როცა მე ყოველი იგი ზიზილ პიპილები მაგონდება, რომელზედაც დღე და ღამ მამა ჩემი ზრუნავდა, თავბრუ მესხმის. ოცი გემი ევნოსტის ნავთ-სადგურს და ოთხმოცი ნავი მეოტის ტბაზედ სულ მამა ჩემს ეკუთვნოდა; მთელი ერთი ქალაქი გლახებით სავსე რომ ყოფილიყო, იმასაც კი გამოჰკვებდა მარტო ერთი ჩვენი ქარხანა. მაგრამ ჩვენ ჩვენს შემოსავალს სულ სხვა რასმეზედ ვაფუჭებდით. ჩვენი ცხენები სულ მარმარილოს თვლაში გვეპ-

ხენ და დიდი დარბაზი, სადაც შეიკრიბებოდნენ ხოლმე მამის ჩემის მეგობრები, ტაძარი გეგონებოდა. უხ, რა რიგად წაგვიღებს ხოლმე ამ წუთის სოფლის ნდომა, როცა იგი გვაგონდება! ისა ჰსჯობია თავი დავანებოთ წარსულსა! და თუ შენ მაინც და მაინც ძალას მატან, რომ ჰსთქვიო, მეტი რა გზაა ვიტყვი.... ჩემი ყმაწვილობა ისე გავატარე, როგორც ყოველის მდიდარის კაცის შვილი ატარებს, ლხინში, შექცევაში და ვარჯიშობაში....

— ყოველივე ეგ მეც გამომივლია, გააწყვეტინა სიტყვა სტეფანემ: და ხშირად მომწოლია გულზედ მოგონება უწინდელის ლხინებისა და ვცდილვარ და ფიქრიდამ ვერ მომიშორებია. შენ კი განა ადვილად ივიწყებდი ხოლმე მაგაებს?

— პირველში ძალიან გამიძნელდა და ბევრს ვებრძოდი ჩემს თავს, მაგრამ, მას აქედ რაც ორმოცს წელს გადავაბიჯე, წუთის სოფლის სახიბლავნი ისე აღარ მტანჯავენ. ოღონდ კი არა ვნახო ხოლმე ისინი, ვისაც ზღვის პირიდამ თევზი დააქვთ ხოლმე ქვემო სოფელში და მე არაფერს ვინაღვლი.

ეს უკანასკნელი სიტყვები ეოცა სტეფანეს და გაკვირვებით შეხედა. ხოლო პავლემ უთხრა:

— დიახ, სწორედ გასაოცარია, რაც გითხარი. კაცსა ვხედავ, თუ ქალსა, ზღვას თუ სინაის მთას — ჩემთვის სულ ერთია, წუთის-სოფელი არ მაგონდება და მარტო წმინდანებისაკენ მაქვს ყოველი ჩემი ფიქრი და სურვილი, მაგრამ როცა თევზის სუნი მოხვდება ხოლმე ჩემს ყნოსვას, მაშინ თვალწინ წარმომიდგება ხოლმე თევზის მოედანი მრავალ გვარის თევზეულობითა....

— განოპიის თევზი — უკეთესი კაცს ნურა უნდა რა, გააწყვეტინა სიტყვა სტეფანემ: იმისი კუპატები რათაც უნდა ღირს.

პავლემ მსუნაგსავით ბალნიანი ტუჩები მოიწმინდა და წამოიძახა:

— აი ფილიმონის სასტუმროში რომ აკეთებდნენ, ჰერკულესის ქუჩაზედ! მართლა რომ რადაც უნდა ღირს!

ფიცხლავ თვითონვე პავლემ გაიწყვიტა სიტყვა და მორცხვობით ჰსთქვა:

— ჰსჯობია ჩემი ამბავი ამით გავათავო. ჯერ რიყრაყი არ არის, შენ მოასწრობ კიდევ ძილს.

— არა, არ შემიძლიან, ამოიოხრა სტეფანემ: თუ გიყვარვარ, დაასრულე შენი ამბავი.

— მაშ ნულარ შემაწყვეტინებ სიტყვას, უთხრა პავლემ და განაგრძო: თუმცა ლხინის ცხოვრება მქონდა, მაგრამ მაინც ბედნიერი არ ვიყავ. როცა მარტო ვრჩებოდი ხოლმე, მოლხინეთა შორის არ ვიჯექ და, ფიალა ღვინით სავსე ხელში არ მეჭირა, და გვერდთ ლამაზი ქალები არ მესხდნენ, ისე მეგონა თითქო ერთს გადასავარდნელს კლდის პირ'სედა ვარ, და როგორც გარეშემო, ისე შიგნით, ჩემს გულში ყოველისფერი მკვდარია და უფერული. მთელის საათობით გადავყურებდი ხოლმე ზღვას და როცა მისი ზვირთები ამოდიოდნენ და ჩადიოდნენ, ჩემს თავს იმათ ვამგზავსებდი; მე ვხედავდი, რომ ჩემს ურარაო აწმყოს მოელოდა ურარაოვე მომავალი. კერპთ-მსახურება ჩემთა მშობელთა მე არ მიზიდავდა, ქრისტიანები მაშინ ყველგან ბევრნი იყვნენ, მაგრამ შიშით თავი ვერ გამოეჩინათ და მე იმათ როგორღაც ვერა ვხვდებოდი. მარტო ორჯერ მოვხვდი იმათ. ერთხელ ძალიან მეწყინა, რომ დოლში ჩემს ცხენებს აჯობეს ცხენებმა, რომელნიც დალოცეს ქრისტიანულის ლოცვითა. მეორედ, მე როგორღაც მეთაკილა, როცა ერთმა ბებერმა მუშა კაცმა ქრისტიანმა იმ სახითვე დამლოცა იმისთვის, რომ შვილი წყლიდამ გამოვუყვანე და გადვურჩინე. დრონი მიდიოდნენ. დედ-მამა დამეხოცა. როცა გავიყარენით, მე ჩემს ძმას დავუთმე ქარხნები, ყოველი ჩვენის საქმის წარმოება და თვითონ ქალაქის სახლიც იმას მივე, თუმცა ჩემი საკუთრება იყო. მის მაგიერ ქალაქ გარედ აგარაკი ავიღე განოპიის ჭიის-კართან და იქ თავლა ავავსე მშვენიერის ცხენებითა და სარდაფი უკეთესის ღვინითა დღეს მე აბანოში, ჯირითში და ვარჯიშობაში ვატარებდი და ღამით კიდევ ვლხინობდით ან ჩემთან ან მეგობართან ვისთანმე, ან სასტუმროში სადმე, სადაც მშვენიერს ბერძნის-ქალებს აღტაცებაში მოვყავნდით ხოლმე როკვითა და სიმღერითა. აბა რა კავშირი აქვთ ერთმანეთში ამ ამაო ლხინებსა და ჩემს ჭეშმარიტების გზაზედ დადგომასაო, მკითხავ შენ? შენ ყური მომიგდე. როცა საული წავიდა თავისის მამის სახედარის საძებნად, მოიპოვა გვირგვინი. ერთხელ ლეზბიელმა ქალმა არხიდიკამ გაგვიმართა თავის სახლში დიდი წვეულობა და ლხინი, ასეთი ლხინი, რომ იმისთანა თვით რომშიაც ვერ მოხერხდებოდა. წავედით მრავალნი მიწვეულნი. ჩემს მეგობრებს და რომაელთ შუა ჩხუბი ასტყდა. ლაპარაკი ცხენებისა და ქალების თაობაზედ მოხდა. ჯერ დაუწყეს მოპირდაპირეებმა ერთმანეთს დაცინება და ოხუნჯობა. ღვინომ რომ გაახურა, დაიწყეს ერთმანეთის ცუდად ხსენება, გინება, და ამას ზედ მუქარაც მოჰყვა. რომაელნი ჩვენზედ

ადრე აიშალნენ და წავიდნენ. ჩვენც ჩვენის მეგობრებით თავზედ გვირგვინებითა როკვითა და სიმღერით წამოვედით შინ. ნავთსადგურს მივუახლოვდით თუ არა, ქუჩის ყურედამ გამოცვივდნენ დაიარაღებულნი და მოგვესივნენ. მთვარე მაღლა იყო და გაშუქებდა ასე, რომ მე ვიცანი მათ შორის ჩვენი მოპირდაპირენი, რომელნიც ჩვენთან იყვნენ წვეულობაში. მე ვეცი ერთს ახმახს ტრიბუნსა, წავუჭირე ხელი ყელში და როცა ძირს დაეცა, მეც დამიტანა. რა მოხდა მერე ბუნდად მახსოვს, რადგანაც მომდგნენ ხლმებითა და ამდენი მცეს, რომ თვალთ დამაბნელდა. ის კი კარგად მახსოვს რაზედ ვწუხდი მაშინ, როცა სიკვდილი პირის-პირ თვალწინ მედგა.

— რაზედ ჰსწუხდი? ჰკითხა სტეფანემ,

— აი რაზედ, უპასუხა პავლემ და წამოწითლდა: მე შინ მწყრები მყვანდა, ერთმანეთთან საჭიდაოდ დაწყრთვნილნი იმათზედ ვწუხდი და ვამბობდი, ნეტავი ვიცოდე, წყალი დაალევინეს მეთქი, თუ არა. მას მერმედ გონება დამიბნელდა. ქვეშაგებათ ჩავვარდი და დიდხანს გონება მიხდილი ვიყავ, იმიტომ რომ ისე დანაყილი და დაგუწვილი ვიყავ, როგორც ხორცი მეხვისათვის. თორმეტგან ვიყავ დაჭრილი, წვრილს დაჭრილობას აღარა ვთვლი. სხვა ჩემ გარდა ერთისაგან სულს დალევდა. შენ თვითონ ხომ მრავალჯერ გაგკვირებია ჩემის ჭრილობის ნიშნები.

— ღმერთმა ვინ მოგიჩინა, რომ ცხონების გზაზედ დაგაყენა?

— ევზები, კანოპიის დეკანოზი ქრისტიანებმა მნახეს ქუჩაში ცოცხალ-მკვდარი და მიმიტანეს იმის სახლში, რადგანაც თევდორეს ქვრივი, მისი და ქალაქის პატრონად იყო. და ძმანი ისე მივლიდნენ როგორც საკუთარს ძმასა. როცა კარგად შევიქენ, იმათ მაჩვენეს ჯვარი და ეკლის გვირგვინი მისი, რომელიც სხვათაშორის ჩემთვისაც უფრო მეტად წამებული იყო, მათის შთაგონებით შემიყვარდა უფლისა ჩვენის მტკივნეულობანი და თავდაბლობით ავიტანე ჩემნი საკუთარნი. სასოწარკვეთილების გამხმარს ხეზედ მალე გამოჩნდნენ მწვანე კვირტები სასოებისა და სიკვდილს შემდეგ უსიცოცხლო არარაობის მაგიერ დამანახვეს ზეცა მთელის ზეციურის სიტკბოებითა აღსავსე! მე თითქო ახლად დავიბადე და ჩემ წინ გაიშალა მომავლისა დაუსრულებელი ნეტარება. მაშინ ვირწმუნე, რომ უკვდავებაა ჩემი ბოლო. ფართოდ განმეღო მე კარი ზეცისა. კანოპაშივე მივიღე ნათელ ცხება და საჯაროდ გამოვაცხადე ჩემი თავი ქრისტიანად. ბევრი ვიწამე თავი, ბევრი ვიგვემე და ვიტანჯე სულის ცხონებისათვის და ყოველი მაგეთი წამება და ტანჯვა ძვირფასად მიმაჩნდა, რადგანაც მხოლოდ ეგ წამება და ტანჯვა იყო გზა ჩემის სულის ნატვრისა და თუ ეხლა ვნანობ რაზედმე, მარტო იმაზედ ვნანობ, რომ უფალმა ღმერთმა არ მაღირსა გამომეცადნა უფრო მძიმე სასჯელი, მაშინ როდესაც მისმა საყვარელმა ძემან მიიღო თავის თავზედ ეგოდენი საშინელნი ტანჯვანი.

— შენ წმინდა კაცი ხარ! უთხრა ხმა დაბლად სტეფანემ და მოწიწებით ემთხვია მისს ტყაპუჭის კალთასა. ხოლო პავლემ ითაკილა ეს ამბავი, წაართო ხელიდამ თავისი კალთა და წყენით უთხრა:

— მაგას თავი დაანებე მე გთხოვ შენ! ვინც საქაოს მე პატივისცემით მექცევა, იგი სამოთხის გზაზედ ხიდს მიქცევს. კარგი გვეყო ლაპარაკი: მე ეხლა წყაროზედ წავალ და ახალს წყალს მოგიტან.

როცა პავლე დაბრუნდა წყლითა, გერმასს გამოეღვიძნა კიდეც და აპირობდა სოფელში წასვლას რომ სენატორს წამლები გამოართვას.

(შემდეგი იქნება)

## განცხადება.

გამგეობა მიხაილის აზნაურობის სადგილ-მამულო ბანკისა აცხადებს, რომ ამა ბანკის წესდების მე-17 §-ის ძალით გამგეობაში საზოგადო ვაჭრობით გაისყიდებიან შემდეგნი უძრავნი მამულნი:

წერეთლისა, გიორგის, დიმიტრის, ვასილის და იოსებისა, მდებარე ქუთაისის უეზდში, წინაველში, სახელდობ „სარბევი.“

მათივე, მდებარე ქ. ქუთაისში, სადოვის ქუჩაზედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 4 Октября 1878 г. Типографія Амб. Энфіаджіанцъ. რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე